თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი 2024-25 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში აცხადებს მიღებას შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

1. **სახელოვნებათმცოდნეო კვლევები** - *7 ადგილი*

   პროგრამული კონცენტრაცია:

   - ***შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება*** *- 4 ადგილი (აქედან ერთი ადგილი მიზნობრივი - შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნება)*
   - ***ახალი და უახლესი ქართული ხელოვნება*** *-3 ადგილი*

2. **კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა** *– 3 ადგილი*

3. **კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)** *– 2 ადგილი*

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;
დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიეცეს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

<u>პირველი ეტაპი: რეგისტრაცია</u>

დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებმა 2024 წლის 12 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით ფაკულტეტის დეკანატში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები /12:00 საათიდან 16:00 საათამდე/:

- განცხადება დეკანის სახელზე;
- CV
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- სამოტივაციო წერილი, რომელშიც დასმული იქნება საკვლევი პრობლემა და მოცემული იქნება კანდიდატის ხედვა მისი გადაჭრის გზებზე;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;
- სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული შუამდგომლობა;

- 3 წლის სამუშაო გამოცდილება (შრომითი ხელშეკრულება ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი) უპირატესობა მიენიჭება შერჩეულ სფეროში პროფესიულ გამოცდილებას;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი (იხ. დანართი 1) ასლთან ერთად ან აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობა

<u>მეორე ეტაპი: გამოცდა უცხო ენაში</u>

აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდა ჩატარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში *(ზუსტი დრო და აუდიტორია გეცნობებათ მოგვიანებით).*
უცხო ენის გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება თსუ-ს ვებ-გვერდზე.

<u>მესამე ეტაპი: გასაუბრება/პრეზენტაცია</u>

2024 წლის 16 სექტემბრიდან 27 სექტემბრამდე (ზუსტი თარიღი გეცნობებათ) ჩატარდება გასაუბრება/პრეზენტაცია იმ კანდიდატებთან, ვინც წარმატებით დაძლია ინგლისური ენის გამოცდა ან წარმოდგენილი აქვს შესაბამისი უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

დოქტორანტობის კანდიდატი ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარადგენს პრეზენტაციას საკვლევი თემის პრობლემატიკის შესახებ. გარდა პრეზენტაციისა დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს რეფერატი, არანაკლებ 15 გვერდისა (იხ. დანართი 2).

გასაუბრების შედეგები კანდიდატებს ეცნობებათ იმავე დღეს.

გასაუბრების შედეგად გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები, აკადემიაში სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადდნენ რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დეკანატში 1 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით.

შენიშვნა: ზემოთ აღნიშნული საბუთების წარმოდგენის გარეშე კანდიდატი ვერ გააფორმებს ხელშეკრულებას თსს აკადემიასთან სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად.

შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

- სამეცნიერო კვლევითი პროცესის შესახებ პროგრამის ხელმძღვანელებს:

სახელოვნებათმცოდნეო კვლევები

კონცენტრაცია: ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორია

პროგრამის ხელმძღვანელები: ნინო ღაღანიძე - nino.gaganidze@art.edu.ge 599109649

სამსონ ლეჟავა - 599950829

კონცენტრაცია: შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ისტორია

პროგრამის ხელმძღვანელი: ანა კლდიაშვილი - ana.kldiashvili@art.edu.ge 599510199

კულტურის კვლევები (თანამედროვე ვიზუალური კულტურა და მედიაკომუნიკაციები)

პროგრამის ხელმძღვანელი: ლელა ფირალიშვილი - lela.piralishvili@art.edu.ge 577991901

კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ ლილუაშვილი - tamar.liluashvili@art.edu.ge 595370555

- რეგისტრაციის, სასწავლო პროცესისა და სხვა ტექნიკური საკითხების შესახებ:

საკონტაქტო პირი: ლოლა ციცხვაია lola.tsitskhvaia@art.edu.ge 591975217